ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 45

ქ. თბილისი 8 აპრილი 2016 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1. ერთის მხრივ თბილისის პარასპორტის განვითარების ცენტრი (შემდგომში _ შემსყიდველი), წარმოდგენილი მალხაზ მესხის სახით და მეორეს მხრივ შპს „ოქეი" (სკ 204560901) ("შემდგომში მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის მერაბ წულუკიანის სახით, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მათი გათვალისწინებით, შეთანხმდნენ შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე შემსყიდველმა განახორციელა გამარტივებული შესყიდვა თბილისის პარასპორტის განვითარების ცენტრისათვის 4.1. პუნქტში აღნიშნული საქონლის მიხედვით, CPV კოდი - **39711000** - საოჯახო ელექტროტექნიკა საკვები პროდუქტებისთვის შესყიდვაზე.

2.2 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველს აღნიშნული საქონელი წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1. ხელშეკრულების **ჯამური** ღირებულება (შემდგომში - ხელშეკრულების ფასი) შეადგენს:

967 (ცხრაას სამოცდაშვიდი) ლარს

3.2. ხელშეკრულების ფასი და ერთეულის ფასი შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯებს, დაკავშირებულს მომსახურების მიწოდებასთან, მათ შორის კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, მოსაკრებელს, სახდელს.

4. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

4.1.

№	დასახელება	განზ. ერთ	რაოდენობა	ერთ. ფასი	ჯამი
1	მიკროტალღური ღუმელი/ღუმელი, SAMSUNG MG23F302TAK	ც	1	299	299
2	სამზარეულოს წვრილი საყოფაცხოვრებო ტექნიკა, PHILIPS HD9321/20	ც	1	169	169
3	მაცივარი საყინულე, ORION REFRIGIRATOR OR-FR024S	ც	1	499	499
	სულ:				967.00

5. მომსახურების შესაბამისობა

5.1. ხელშეკრულების მეორე მუხლით გათვალისწინებული საქონელი უნდა შეესაბამებოდეს მსგავსი საქონლის უკვე არსებულ სტანდარტებსა და შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებს.

5.2. 5.1. პუნქტში აღნიშნული ნორმიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს საქონელი ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

6. მომსახურების მიწოდების პირობები

6.1. ვადები:

6.1.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება 2016 წლის 16 აპრილამდე.

6.2. ადგილი:

6.2.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება შემსყიდველის მისამართზე: ქ. თბილისი, ბელიაშვილის 5.

7. მომსახურების/საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. მომსახურების/საქონლის მიღება-ჩაბარება განხორციელდება მომსახურების გაწევის შემდეგ, რაზეც გაფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი ორ ეგზემპლარად.

7.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილია ცენტრის დირექტორი მალხაზ მესხი.

8. ანგარიშსწორების პირობები

8.1. ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო ანგარიშსწორება ლარებში.

8.2. ანგარიშსწორება იწარმოებს ფაქტიურად გაწეული მომსახურების შემდეგ, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის და ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე, წარმოდგენიდან არა უგვიანეს 10 (ათი) საბანკო დღეში.

8.3. ანგარიშსწორების ადგილი: ქ. თბილისი.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

9.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

10. ინსპექტირების პირობები

10.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს მალხაზ მესხი.

10.2. ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს შესყიდული მომსახურების ინსპექტირება.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 16 მაისამდე.

12. განსაკუთრებული პირობები

12.1. ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად (2 გვერდზე) და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

12.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება "მიმწოდებელთან", ერთი – "შემსყიდველთან".

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

„შემსყიდველი"
ააიპ თბილისის პარასპორტის
განვითარების ცენტრის
მისამართი: ქ. თბილისი, ზელიაშვილის 5
საიდენტიფიკაციო კოდი: 400098443

დირექტორი

მალხაზ მესხი

„მიმწოდებელი"
შპს „ოქეი"
მისამართი: საქართველო, თბილისი, ძველი
თბილისის რაიონი, ორბელიანის ქ., N35
სკ 204560901
BAGAGE22
GE95BG0000000041704200

"BAGAGE" "OKAY" LTD 204560901

დირექტორი

მერაბ წულუკიანი